ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 262

“ 9 ” ივნისი 2023 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ანაგს“ (ს/ნ. 245416401) შორის 2013 წლის 6 თებერვალს გაფორმებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-168-11-6569 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ზ.“ ქვეპუნქტის, 127² მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ანაგს“ (ს/ნ. 245416401) შორის 2013 წლის 6 თებერვალს გაფორმებულ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ №E-168-11-6569 ოქმში (ხელშეკრულებაში) ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 18 მაისის №23.713.795 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გაუქმდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ანაგს“ (ს/ნ. 245416401) შორის 2013 წლის 6 თებერვალს გაფორმებული აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი №E-168-11-6569 ოქმით (ხელშეკრულებით) გათვალისწინებული პირობა - „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში“, იმ პირობით, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში შპს „ანაგი“ (ს/ნ. 245416401) უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 17 300 (ჩვიდმეტი ათას სამასი) ლარის გადახდას.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე